ხელშეკრულება N14/397
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი

12 იანვარი 2017 წ.

ერთის მხრივ სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი გაკოტრების მმართველის, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის ზურაბი მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ექსელ ელექტრონიქსი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი მჭედლიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ერთი ცალი ყავის აპარატის ariston CM TDC DSLO შესყიდვა.
1.2 შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრის დაცვით.
1.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 39711310 - ყავის ელექტროსახარშები;
1.4 დაფინანსების წყარო 2017 წლის საკუთარი შემოსავლები.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
2.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 2017 წლის 15 იანვრამდე.
3.2. მიწოდება ადგილი ქ. თელავი, ალაზნის გამზ. N93.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული საქონლის/მომსახურების ღირებულება.
4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის შესახებ.
4.3. მიწოდებელი საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. პირობების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.
4.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
4.5. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. "შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 155 (ასორმოცდათხუთმეტი) ლარს.
6.2. ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.2. მიწოდებული მომსახურების სრული ანგარიშსწორება ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ლარებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია"

მის: ქ. თელავი, ალაზნის გამ. №93.

ს.კ. №203866824

სს „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა: GE66BG0000000330883500

ტელეფონი: 0 (350) 27-12-32

ზურაბი მეტრეველი

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის"
გაკოტრების მმართველი აღსრულების
ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი

მიმწოდებელი

შპს „ექსელ ელექტრონქსი"

მის: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. 25

ს. კ. 404861896

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

ა/ა: 21თ 7424436020100001

ტელ: 0(350)275565

ირაკლი მჭედლიშვილი

დირექტორი

შ.პ.ს. "ექსელ ელექტრონიქსი"
დირექტორი ირაკლი მჭედლიშვილი

ინვოისი

ინვოისის № 341

უნაღდო ანგარიშსწორება

თარიღი 12.01.2017

ორგანიზაცია

მისამართი:	ქ.თელავი ალაზნის გამზირი 6
ტელეფონი:	(0350)27-55-65
საიდ. კოდი:	404861896
ბანკი:	სს. თიბისი ბანკი
ბანკის კოდი:	
ანგ. ნომერი:	GE21TB7424436020100001
მისამართი:	ქ. თბილისი, ქავთარაძის№25

	კახეთის ენერგო დისტრიბუცია
ორგანიზაცია	
ს/კ	203866824
მისამართი	თელავი ალაზნის გამზირი №93

	რაოდენობ	ერთეულის ღირებულებ	სულ
ყავის აპარატი ariston CM TDC DSLO	1	155 ლარი	155 ლარი

საგარანტიო ტალონი ალტა

შ.პ.ს. ექსელ ელექტრონიქსი გილოცავთ შენაძენს და გარწმუნებთ, რომ ჩვენთან შეძენილი პროდუქცია საიმედო და აღალხარისხიანია.

თხოვთ ყურადღებით გაეცნოთ მომსახურების ინსტრუქციას, გარანტიის პირობებს და ხელმოწერით დაგვიდასტუროთ ქვენი თანხმობა.

- თუ შეძენილ ნივთს 3 (სამი) დღის განმავლობაში აღმოაჩნდება ქარხნული დეფექტი, მყიდველმა უნდა აცნობოს ამის შესახებ **შ.პ.ს. ექსელ ელექტრონიქსი** იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება ქარხნული დეფექტი, ჩვენ შევცვლით მას იგივე მოდელით ან (თუ არ აღმოჩნდება აღნიშნული მოდელი) იგივე ღირებულებ სხვა მოდელით. **თუ ჩვენს მიერ გაყიდულ პროდუქციას არ აღმოაჩნდება ქარხნული დეფექტი ან სხვა ტექნიკურ წუნი, კლიენტის თვითნებური სურვილით პროდუქცია უკან არ მიიღება**
- გაყიდვიდან 3 (სამი) დღის შემდეგ სგარანტიო მომსახურება გულისხმობს ნივთის უფასო და აუცილებელ შეკეთებას, რაც მოიცავს როგორც შეკეთების, ასევე სათადარიგო ნაწილების ღირებულებას. იმ შემთხვევაში თ ნივთი ვერ შეკეთდა 30 (ოცდაათი)სამუშაო დღის განმავლობაში მიიღებთ იგივე მოდელის ან (თუ არ აღმოჩნდე აღნიშნული მოდელი) იგივე ღირებულების სხვა მოდელის ახალ ნივთს.
- საგარანტიო მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია რომ დაცული იქნას საქონლის ექსპლუატაცი წესები ინსტრუქციის მიხედვით.
- საგარანტიო მომსახურების მისაღებად მყიდველმა უნდა წარადგინოს **შ.პ.ს. ექსელ ელექტრონიქსი -ს** მიერ სრულყოფილად შევსებული და დამოწმებული საგარანტიო ტალონი.
- საგარანტიო მომსახურება არ ხორციელდება თუ საგარანტიო ტალონი გადაკეთებულია, არ იკითხება სერიული ნომერი, კოდი ან ინდექსი, პროდუქციას აღენიშნება ვიზუალური ან მექანიკური დეფექტი, დაზიანება გამოწვეუ ელ. ქსელის გაუმართაობით (ძაბვის ცვლილება), მექნიზმის დანესტიანებით, წყლით დაზიანებით.
- საგარანტიო მომსახურებას არ ექვემდებარება
- სხვა არაკომპეტენტური სუბიექტის მიერ შესრულებული სამონტაჟო ან სარემონტო სამუშაოებით გამოწვეული დაზიანებები.
- ნებისმიერი ხელსაწყო ან დაზიანებული ნაწილი უნდა გახდეს კომპანიის საკუთრება

საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომი მომსახურება ფასიანია.

ავეცანი და ვეთანხმები ინსტრუქციას და გარანტიის პირობებს: ----------

ლ.პ.ს. ექსელ ელექტრონიქსი უფასო საგარანტიო მონტაჟს ახორციელებს შემდეგ ტექნიკაზე: სარეცხი მანქანა , საშრობი ,ჭურჭლის სარეცხი მანქანა , გაზქურა, მაცივარი .

შ.პ.ს.ექსელ ელექტრონიქსი	შ.პ.ს.ექსელ ელექტრონიქსი	შ.პ.ს.ექსელ ელექტრონიქსი	შ.პ.ს.ექსელ ელექტრონიქსი
ყავის აპარატი ARISTON CM TDC DSLO	ყავის აპარატი ARISTON CM TDC DSLO	ყავის აპარატი ARISTON CM TDC DSLO	ყავის აპარატი ARISTON CM TDC DSLO
გაყიდვის თარიღი 12.01.2016	გაყიდვის თარიღი 12.01.2016	გაყიდვის თარიღი 12.01.2016	გაყიდვის თარიღი 12.01.2016
3 წელი	3 წელი	3 წელი	3 წელი

მომსახურების ტალონი

პროდ. დასახ.	თარიღი	შეს. სამუშაო
მოდელი:		

შემსრულებლის ხელმოწერა ----------

მომხმარებლის ხელმოწერა ----------

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თელავი

12---- იანვარი 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, წარმოდგენილი გაკოტრების მმართველის ზურაბი მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ექსელ ელექტრონიქსი“, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი მჭედლიშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 12 იანვარს დადებული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N14/397-ის საფუძველზე შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. ერთი ცალი ყავის აპარატი Ariston CM TDC DSLO.

საქონლის ღირებულება შეადგენს 155 (ასორმოცდათხუთმეტი) ლარს.

შესყიდვის ობიექტი ექვემდებარება ჩაბარებას და ანაზღაურებას.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ჩაიბარა: /ზურაბი მეტრეველი/

ჩააბარა: